კავშირი მასწავლებელთა თვითეფექტურობასა და ინკლუზიური განათლების მიმართ დამოკიდებულებას შორის

თამარ მწყერაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ მწყერაშვილი

თარიღი ___19.06.2022____

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია ინკლუზიური განათლებისადმი მასწავლებლების დამოკიდებულებას, მასწავლებლების თვითეფექტურობასა და ზოგად თვითეფექტურობას შორის კავშირის დადგენა. ასევე, მასწავლებლების დემოგრაფიულ მონაცემებსა (ასაკი, გამოცდილება, ტრენინგი) და ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულების შესწავლა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120-მა საჯარო სკოლის მასწავლებელმა, რომლებიც იყვნენ საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონიდან. მასწავლებელთა ინკლუზიის მიმართ დამოკიდებულების გასაგებად გამოყენებულ იქნა მასწავლებლის ინკლუზიისადმი დამოკიდებულების სკალა, ხოლო თვითეფექტურობის ორი ტიპის საკვლევად - ზოგადი თვითეფექტურობისა და მასწავლებლის თვითეფექტურობის სკალა. შედეგებმა აჩვენა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირია მასწავლებლის თვითეფექტურობასა და ზოგად თვითეფექტურობას შორის. ასევე, მასწავლებლის დამოკიდებულებებსა და ზოგად თვითეფექტურობას შორის, მასწავლებლის დამოკიდებულებებსა და მასწავლებლის თვითეფექტურობას შორის. შედეგებიდან დადგინდა, რომ ზოგადი თვითეფექტურობა არის მნიშვნელოვანი პრედიქტორი მასწავლებლების ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულების. მაგრამ ასაკი და გამოცდილება არ არის მნიშნელოვანი დეტერმინანტი მასწავლებლების დამოკიდებულებისა ინკლუზიური განათლებისადმი. ხოლო ტრენინგი არის დაბალ დადებით კორელაციაში დამოკიდებულებასთან. კვლევაში განხილული შედეგებიდან გამომდინარე, დაისახა სამომავლო გეგმები და რეკომენდაციები, რადგან გაუმჯობესდეს მასწავლებლის როლი ინკლუზიური განათლების მოდელის განხორციელებაში.

საძიებო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, დამოკიდებულება, თვითეფექტურობა, მასწავლებელი, ასაკი, სამუშაო გამოცდილება, ტრენინგი

Abstract

The main purpose of this study is to establish the relationship between teachers' attitudes toward inclusive education, teachers' self-efficacy and general self-efficacy. Aslo, to examine the relationship between teachers' demographic variables (i.e., age, experience, training) and their attitudes towards inclusive education. The study participants included a total of 120 teachers of public schools from different geographical regions of Georgia. The Teacher Inclusion Attitudes Scale was used to understand the attitude towards teacher inclusion, and for two types of self-efficacy research – General Self-Efficacy and Teacher Self-efficacy scale. The results showed that there is a positive significant relationship between teachers' self-efficacy and general self-efficacy. Aslo, teachers' attitudes and general self-efficacy, and teachers' attitudes and teachers' self-efficacy. The results also revealed that general self-efficacy to be a significant predictor of their attitudes towars inclusive education. But age and experience are not important determinant of teachers' attitudes towards inclusive education and training is low in positively correlated with attitudes. Based on the results discussed in the study, the future plans and recommendations were identified, to improve the role of the teacher in implementing the inclusive education model.

Key Words: inclusive education, attitude, self-efficacy, teacher, age, experience, training

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან კახიანს.

ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ სკოლის მასწავლებელს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში და აქტიურად ითანამშრომლა ჩემთან.